MES 1 20 0000632409

24/07/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 10.07.2020
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 14:55 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე**- სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი**- შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;
9. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

10. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
11. **ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი
12. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	მარიამ გრიგალაშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
3	ქეთევან თელია	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	როინ თათეშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი, ,,ეკონომიკის" საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.	I
2	ნანა ჯღარკავა	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, ,,ეკონომიკის" საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი	I
3	ცისკარა ზარანდია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	I

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი

1	ანა ბარამიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი სხდომაზე არ განხილულა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2020 წლის 9 ივლისის წერილის საფუძველზე, რომლითაც დაწესებულებამ მოითხოვა სააკრედიტაციო განაცხადზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტას.

დამტკიცებული დღის წესრიგი

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის" საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ნგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით	2019 წლის 03 ოქტომბრის N186 გადაწყვეტილება.

	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ახალციხე, 0800, რუსთაველის ქუჩა N122, უნივერსიტეტის II - ე კორპუსი
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.

ექსპერტმა განმარტა, რომ პირველ რეკომენდაცია გულისხმობდა შემდეგს - „გაიწეროს პროგრამის მიზნები ისე, რომ ცოდნა, უნარები და კომპეტენცია მკაფიოდ გამოჩნდეს პროგრამის გაცხადებულ პრიორიტეტებსა და საბაკალავრო კურსის შედეგს შორის.“ ის, რომ დაწესებულება არ იზიარებს ამ რეკომენდაციას გამოწვეულია იმ არგუმენტაციით, რომ პროგრამას აქვს მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომლებზეც ექპერტებს შენიშვნა ან რჩევა არ გამოუთქვამთ.

ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაციის საფუძელს წარმოადგენდა პირველ რიგში საბაკალავრო პროგრამის განვითარება, რომლის მიზანიც არის რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერება ბაზრის თანამედროვე ტენდეციების გათვალისწინებით. ეს პრიორიტეტი, გულისხმობს, უპირველეს ყოფლისა, შესაბამისი კადრების მომზადებას. მანვე დამატებით განმარტა, რომ მხოლოდ სწავლის შედეგების რუკაზე, მიზნებისა და შედეგების შესაბამისობაზე არ არის საუბარი. აქ უფრო ფართო პრობლემასთან გვაქვს საქმე, იმ კუთხით, რომ ეკონომიკური დისციპლინები არ არის სრულად მოცემული. მაგალითად, ეკონომიკური მოდელირება ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით, ტურიზმის ეკონომიკა, ლოგისტიკის საკითხები არ იყო წარმოდგენილი, სამაგიეროდ იყო ბევრი ისეთი საგანი, რომლის ბმა ეკონომიკასთან არის სუსტი და ძირითადად მიეკუთნებიან ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებას.

მართალია, რომ შესაბამისი საგნები მცირე რაოდენობით არის, მაგრამ გამოჩნდა კიდევ ერთი პრობლემა, კერძოდ, დასაქმების კუთხით ცუდი მდგომარეობა. აღნიშნული დადგინდა გასაუბრებებით. კურსდამთავრებულთა მცირე ნაწილი არის დასაქმებული პროგრამის შესაბამისად და უმრავლესობა მიდის სამუშაოდ ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით. ეკონომისტის უნარ-ჩვევები კი უფრო დამხმარე ფუნქციას ასრულებს, ვიდრე ძირითადს. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ პროგრამა სახელმწიფოს დაფინანსების ფარგლებში ხვდება. ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით საგრანტო კომპონენტი არის მცირე. ამიტომ ეს მიზეზები გახდა სწორედ ამ რეკომენდაციის საფუძველი და საჭიროა ძირითადი პრიორიტეტის, რეგიონის ეკონონომიკური პოტენციალის გაძლიერება და ამისთვის შესაბამისი კადრების მომზადება.
სწავლის შედეგების რუკაში არის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობა. იყო მცირე ხარვეზები, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი არ ეთანხმება მოცემულ რეკომენდაციას, რეალურად მათ განახორციელეს ცვლილებები, დაამატეს საგნები და ამ მხრივ აქვთ პროგრესი და წინგადადგმული ნაბიჯები.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ყველა დამსწრე პირს.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ შემცირდა ბიზნესის საგნები, კერძოდ იყო 30 და შემცირდა 23 კრედიტამდე. ამავდროულად შემცირდა თვითონ საკონტაქტო საათის რაოდენობა, დაემატა რამდენიმე არჩევით საგანი ტურიზმის, აგრარული ეკონომიკის მიმართულებით და გახდა 21 კრედიტი. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ კურსდამთავრებულები არ მუშაობენ პროფესიით, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა 2019 წლის მაისში მომზადა, როდესაც არ ჰყავდა კურდამთავრებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტის პოზიციასთან დაკავშირებით, რომ ბიზნესის მიმართულებით მეტი საგანი იყო, განახორციელეს შესაბამისი ღონისძიებები, კერძოდ შემცირებულია კრედიტების რაოდენობა, დამატებულია ექსპერტების მიერ მოცემული რეკომენდაციებიდან ორი სასწვლო კურსი ტურიზმის ეკონომიკა და აგრარული ეკონომიკა. გათვალისწინებულია ექსპერტთა რეკომენდაცია, იმის შესახებ, რომ არის რეგიონი და რეგიონისთვის მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით განვითარება და გააგრძელებენ რეკომენდაციის გათვალისწინებით დამატებით სხვა საგნების შეტანას.

სტუდენტებთან გასაუბრების დროს არ ჰყავდათ კურსდამთავრებული, მაგრამ ამჯერად უკვე ჰყავთ მეორე წლის კურსდამთავრებულები და ახორციელებენ პროგრამის შეფასებას პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით. იმ პერიოდისთვის ჰქონდათ მხოლოდ პირდაპირი მეთოდები.

აღნიშნულით მიხვდნენ რომელ ნაწილში ჰქონდათ სისუსტეები. შეფასების შედეგებს მომავალი წლის სასწავლო კურსებში გაითვალსწინებენ.

აქვე არის მითითებული, რომ საჭიროა ისწავლებოდეს სხვა კურსთან ერთად ანალიტიკური კომპიუტერული პროგრამები ეკონომისტებისთვის, აღნიშნული არ ჰქონდათ მაშინ და დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ამ რეკომენდაციისთვის.

რაც შეეხება ლოგისტიკას, ფიქრობენ, რომ წინააღმდეგობაშია ექსპერტების დასკვნასთან. თუ მითითებულია, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სასწავლო კურსები უნდა შემცირდეს, ლოგისტიკა ცალსახად ამ მიმართულებაში შედის. შესაბამისად, მისი დამატება მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს და სწორედ ამიტომ არ გაითვალისწინეს ეს გარემოება.

რაც შეეხება მოდელირებას, ეკონომიკური მოდელირება გათვალისწინებულია ეკონომეტრიკაში, სტატისტიკაში. აღნიშნული საკითხი არ არის მხოლოდ სამუშაო ჯუფის გადასაწყვეტი, საკითხი ფაკულტეტის საბჭოზე იყო გატანილი, შემდეგ აკადემიურ საბჭოზე და ბოლომდე გაზიარებული ვერ იქნა. მოდელირება წარმოდგენილია საბაკალავრო დონისათვის შესაბამისად, გაძლიერებულად კი ის მაგისტრატურაზე ან დოქტორატურაზე შეიძლება ისწავლებოდეს.

სამართლის მიმართულებაში განახლდა სილაბუსები, ძველი ლიტერატურა იყო მითითებული. ასწავლიდნენ სამეწარმეო და შრომის სამართალს. რაც შეეხება ბიზნეს სამართლისა და სამეწარმეო სამართლის კვეთას და გადაფარვას, რაზეც იყო საუბარი - ვინც აირჩევს ბიზნესის მიმართულებას მას აღარ შეთავაზებენ ბიზნეს სამართალს. გადაფარვა იყო ფინანსური მენეჯმენტის და კორპორაციული ფინანსების კუთხით და ესეც აღმოიფხვრა. ექსპერტებმა განმარტეს, რომ მოსაზრებას, რომ ახალი რეკომენდაციებია ვერ დაეთანხმებიან.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ იკითხა ეს პროგრამა სახელმწიფო დაფინანსებაში თუ ხვდებოდა? მისთვის ნონსენსია ბიზნესის ფაკულტეტზე მზადდებოდეს ეკონომისტები, მოტივაცია ალბათ გასაგებია რომ დაფინანსებაშია, ასეთ შემთხვევაში ფაკულტეტს უნდა დაერქვას ბიზნესის და ეკონომიკის ფაკულტეტი, რადგან ბიზნესსა და ეკონომიკას შორის იმხელა განსხვავებაა, როგორც მედიცინასა და ეკონომიკას შორის. ეკონომისტმა რამდენიმე მიმართულებით შეიძლება იმუშაოს, იყოს ექსპერტი, იმუშაოს ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით ან უნდა იმუშაოს დიდ საფინანსო კომპანიებში ეკონომისტ-ანალიტიკოსად. სხვა შემთხვევა არარელევანტურია, თვითონ ეკონომისტმა, მისი აზრით, ძველებური მნიშვნელობით დაკარგა თავისი აქტულურობა. იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ანალიტიკური სწავლება უნდა იყოს გაძლიერებული. კურიკულუმიც უნდა იყოს შესაბამისად აწყობილი. რაც შეეხება ლოგისტიკას, ამასთან დაკავშირებით იზიარებს უნივერსიტეტის პოზიციას. საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ ასევე აღნიშნა, რომ პროგრამას აკლია, მაგალითად სტუდენტისათვის საჭირო ფინანსური ბაზრების, ფასიანი ქაღალდების ცოდნა, როგორ მოქმედებს ის სხვადასხვა ეკონომიკურ მაჩვენებელზე, იგივე სხვადასხვა ინდექსების შესწავლა, მშენებლობის ინდექსი, უმუშევრობის ინდექსი, როგორ გავლენას ახდენს და რომელთა მიხედვით იცვლება გადაწყვეტილებები. მაგალითად, როცა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი აკეთებს განცხადებას, მნიშვნელოვანია იცოდნენ რაზე დაყრდნობით აკეთებს ის ამ განცხადებას. ეს არ არის კლასიკური მეცნიერება, ეს არის კვლევაზე და მოდელებზე აწყობილი მეცნიერება. შეიძლება ისეთი სიტუაცია შეიქმნას, რომ მისი ანალოგი არ იყოს. არავინ არ იცის დღეს როგორ იმოქმედებს სავალუტო ბაზარი, ამ მიმართულებით მისი შესწავლა საჭიროებს გაძლიერებას. მისი რჩევაა, რომ ასეთი სტანდარტული საგნებით ვერ მოხერხდება კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება. ესმის უნივერსიტეტის მოტივაცია იყოს პროგრამა სახელმწიფო დაფინანსებაში, მაგრამ მხოლოდ იმით შემოფარგვლა, რომ სტუდენტი იყოს მხოლოდ რეგიონალურ პრობლემებზე ორიენტირებული, არ არის სწორი. სტუდენტი უნდა იყოს კონკურენტუნარიანი

გლობალურ სამყაროში და უნდა შეძლოს გლობალური აზროვნება და არა მხოლოდ რეგიონის დონეზე. ამაზეც უნდა იყოს კონცენტირებული, მაგრამ რაც შეიძლება ბევრი ანალიტიკური საგნებია მიზანშეწონილი. ბიზნესის სწავლება შესამცირებელია, შესაძლებელია მისი გადატანა არჩევით საგნებში. პირველ რიგში ანალიტიკის ცოდნა სჭირდება სტუდენტს აღნიშნულ მიმართულებაზე. კორპორაციული ფინანსები ვერ მისცემს მას იმ ცოდნას, რაც ეკონომისტს სჭირდება. ფაკულტეტის სახელწოდებაზეც საფიქრალია, ბოლომდე შესაბამისი არაა ბიზნესის ფაკულტეტზე ეკონომისტების მომზადება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ადრე 80 ადგილი ცხადდებოდა ეკონომიკაზე, ანალოგიურად 80 ბიზნესის მიმართულებითაც, ესეც შემცირდა 45 ადგილამდე. გიორგი თურქიამ იკითხა, როცა 80 ცხადებოდა რამდენი სტუდენტი იყო ეკონომიკაზე? დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეკონომიკაზე აბარებდა 60, ბიზნესზე 20-25. გიორგი თურქიამ განმარტა, რომ არ ეხება იმ საკითხს სახელმწიფო პოლიტიკა რამდენად სწორია დაფინანსების კუთხით, მაგრამ მთავარია, რომ შესაბამისი პროდუქტი მიეცეთ სტუდენტებს და ისინი არ იყვნენ მოტყუებულები. მანვე დაამატა, რომ ექპერტების რეკომენდაციები და რჩევები გასათვალისწინებელია. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა და განმარტა, რომ პროგრამა ცოცხალი ორგანიზმია და განვითარება გაგრძელდება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნანა ჯღარკავამ განმარტა, საკითხები ფინანსური ბაზრების შესახებ მაკროეკონომიკაში არის წარმოდგენილი, ასევე, მაკროეკონომიკა 2-ში წარმოდგენილია დიდი მოცულობით.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ შეფასებითი კომენტარი გააკეთა. იზიარებს ექსპერტთა მოსაზრებას, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტეგრაცია კონკრეტულ სასწავლო კურსების სწავლების პროცესში აუცილებელია. ასევე დასვა კითხვა საჯარო ფინანსების კურსთან დაკავშირებით - იქიდან გამომდინარე, რომ საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა შეეფასებინათ კონკრეტული სილაბუსების შინაარსი, რამდენად არის აღნიშნული კურსი შესაბამისობაში ეკონომიკის ძირითად სწავლის სფეროსთან.

ექსპერტმა განმარტა, რომ სწორედ ამიტომ ჰქონდათ მითითებული, რომ შემცირდეს ამ ტიპის საგნების მიწოდება ან გადავიდეს ბიზნესის მიმართულებით. ხოლო დაწესებულების წარმომადგენელმა კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული კურსი არის იგივე საჯარო სექტორის ეკონომიკა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:35
დასრულების დრო: 14:55

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 1 წლის ვადაში მონიტორინგის განხორციელების საკითხი.
კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის 2[11] პუნქტის, 31-ე მუხლის, 33 მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლის შესაბამისად, პროგრამაზე წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭომ გადაწყვიტა, აკრედიტაციის პირობების შემოწმების მიზნით, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელება ანგარიშის განხილვიდან 1 წლის ვადაში, 2021 წლის 24 ივლისისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა